USDA

LAND O'LAKES VENTURE 37

Georgian Farmers' Association

გზამკვლევი ცხოველური წარმოშობის სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებული პირის საქმიანობის რეგისტრაციის მოთხოვნების და პროცედურების შესახებ

GEORGIA SAFETY AND QUALITY INVESTMENT IN LIVESTOCK (SQIL)

ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში - საქართველო

აგვისტო 2020

სარჩევი

პროექტის შესახებ **4**
გზამკვლევის აქტუალობა და საინფორმაციო ღირებულება **5**
ტერმინთა განმარტება **7**
რეგისტრაციის არსი და მისი საფეხურები **12**
1. სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება და მისი ეტაპები **14**
2. წარმოების ტიპები **15**
2.1. რეგისტრაცია საქმიანობის ეტაპიდან გამომდინარე 16
2.2. ოჯახური წამოების სუბიექტი და მისი რეგისტრაციის სახეები 18
2.3. ბიზნესოპერატორი და მისი რეგისტრაცია 21
2.3.1. მეწარმე სუბიქტები და მათი რეგისტრაცია ბიზნეს რეესტრში 22
2.3.2. პირის რეგისტრაცია გადასახადის გადამხდელად შემოსავლების სამსახურში 26
3. ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაცია **29**
3.1. ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული ეკონომიკურ საქმიანობათა სახეები 31
4. ბიზნესოპერატორის აღიარება **34**
5. ლიცენზირება **41**
6. სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებლებისათვის ძირითადი კანონმდებლობის ნუსხა **43**
7. მომსახურების სახეები, საფასური და ვადები **45**
8. სანქციები (ჯარიმები) **48**
9. შესაბამისი სახელმწიფო სამსახურები **49**
10. დანართები **50**

აღნიშნული მასალა მომზადებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, საგარეო სასოფლო-სამეურნეო სამსახურის მიერ გაცემული ფედერალური ჯილდოს FCC-114-2018/004-00 ფარგლებში. ნებისმიერი მოსაზრება, დასკვნა ან რეკომენდაცია, რომლებიც მოცემულია ამ პუბლიკაციაში, არის ავტორ(ებ)ის მოსაზრება და არ ასახავს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის და ამერიკის მთავრობის შეხედულებას.

პროექტის შესახებ

საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის რძისა და ხორცის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებით, „სურსათი პროგრესისათვის“ (Food for Progress 2018) პროგრამის ფარგლებში, ამერიკულმა ორგანიზაციამ Land O'Lakes Venture 37-მა საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) და მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (MSU) პარტნიორობით 2018 წლის ბოლოდან საქართველოში დაიწყო ინოვაციური, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი 5 წლიანი პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) განხორციელება.

SQIL პროექტის ძირითადი მიზნებია საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის რძისა და ხორცის წარმოებაში დანაკარგების შემცირება, სურსათის უვნებლობის და ხარისხის გაუმჯობესება, კონკურენტუნარიანობის, პროდუქტიულობისა ამაღლება და ვაჭრობის პოტენციალის გაზრდა.

გზამკვლევი შექმნილია იმ პირებისათვის, რომლებიც ახდენენ ან აპირებენ ცხოველური წარმოშობის სურსათს/ცხოველის საკვების წარმოებას მათ შორის პირველად წარმოებას ან/და მის გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას), რათა ისინი უკეთ გაერკვნენ ამ სფეროში ოპერირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნებსა და პროცედურებში.

გზამკვლევის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ გადმოტვირთოთ ბლოგი აგრონავტიდან https://blog.agronavt.ge/, ასევე გზამკვლევის მოკლე საინფორმაციო ვერსია შეგიძლიათ მოიძიოთ მობილურ აპლიკაცია აგრონავტში. აგრონავტი ხელმისაწვდომია Android-ის და Apple iOS-ის მომხმარებლებისთვის და ქართულენოვანია.

გსურს გაიგო რა არის აგრონავტი?
დაასკანერე QR-კოდი და
გადმოწერე აპლიკაცია

გზამკვლევი მომზადებულია
SQIL პროექტის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის გუნდის მიერ
ლაშა ავალიანი
მზია კუზნეცოვა
რუსუდან წიკლაური

გზამკვლევის აქტუალობა და საინფორმაციო ღირებულება

დღეისათვის მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც მკაცრად რეგულირდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება/გადამუშავება/დისტრიბუცია, ვინაიდან ეს საქმიანობა, მიუხედავად მისი მასშტაბებისა (მცირეა თუ დიდი, არაორგანიზებულია თუ „ორგანიზებული“) დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან. დადგენილია, რომ ადამიანის გადამდები დაავადებების 60%-ზე მეტი ზოონოზური წარმოშობისაა[1], ამასთანავე, მიიჩნევა, რომ ცხოველური წარმოშობის სურსათი (მ.შ. ხორცი და ხორცის ნაწარმი, რძე და რძის პროდუქტები) ყველაზე მეტად შეიძლება იყოს დაბინძურებული სურსათისმიერი დაავადებების გამომწვევი სხვადასხვა ორგანიზმებით (მაგ.: ბაქტერია, ვირუსი, პარაზიტები და ა.შ.[2]). შესაბამისად, სურსათის ბიზნესოპერატორები, რომლებიც აწარმოებენ/გადაამუშავებენ ან/და ეწევიან დისტრიბუციას, შესაძლოა გახდნენ დაავადებების წარმოქმნა-გავრცელების მიზეზი.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში 600 მილიონი ადამიანი ავადდება მავნე სურსათის მოხმარებით, ხოლო 420,000 ადამიანი იღუპება სურსათისმიერი დაავადების შედეგად, მ.შ. ლეტალობის 30% 5 წლამდე ბავშვებში ფიქსირდება[3].

საქართველოს კანონმდებლობა სურსათის ბიზნესოპერატორებს, მათი მნიშვნელოვანი ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე, ავალდებულებს სურსათთან დაკავშირებული საქმიანობა დაარეგისტრირონ ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, რათა მაკონტროლებელმა ორგანოებმა შეძლონ ეფექტური სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, რეგისტრაცია წარმოადგენს ბიზნესოპერატორისათვის მიკვლევადობის სისტემის აუცილებელ მოთხოვნასაც.

აღნიშნული გზამკვლევი გამიზნულია იმ პირებისათვის, რომლებიც ახდენენ ან აპირებენ ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, მათ შორის პირველად წარმოებას ან/და მის

1. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1088493/
2. https://web.archive.org/web/20110303025929/http://www.cdc.gov/ncidod/dbmd/diseaseinfo/foodborneinfections_g.htm#mostcommon
3. https://www.who.int/activities/estimating-the-burden-of-foodborne-diseases

გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას) და გაწვდით დეტალურ ინფორმაციას აღნიშნულ ეტაპებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნებისა და პროცედურების შესახებ.

გზამკვლევში ასევე, მოცემულია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სახეების, ვადებისა და საფასურთან დაკავშირებული და რეგისტრაციის პროცედურების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმებთან ასოცირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამასთანავე, ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ინფორმაცია გზამკვლევში წარმოდგენილია შეძლებისდაგვარად გამარტივებული ენით.

გაითვალისწინეთ, რომ გზამკვლევით მოწოდებული ინფორმაცია სრულად ვალიდურია გზამკვლევის გამოშვების პერიოდისათვის და მომავალში შესაძლებელია რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით მოთხოვნები გარკვეულწილად შეიცვალოს.

ტერმინთა განმარტება

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან – საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის, უცხო ქვეყნის საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (მუდმივი დაწესებულების, წარმომადგენლობის) შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, საჯარო სამართლებრივ და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრებში არსებული მონაცემების შემცველი, ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით შედგენილი დოკუმენტი; (241)

არაორგანიზებული წარმოება – ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად; (14)

აღიარება – რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება; (722)

ბიზნეს სუბიექტის რეგისტრაცია - არის სუბიექტის წარმოშობის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების და რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით; (მეწარმეთა შესახებ კანონი)

ბიზნესოპერატორი – პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას და რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის; (კოდექსი)

გადაუმუშავებელი სურსათი/ცხოველის საკვები – პროდუქტი, რომელსაც არ გაუვლია გადამუშავება და რომელიც დაიკლა, გატყავდა, დანაწილდა, დაიჩეხა, დანაწევრდა, დაიჭრა ნაჭრებად, გამოეცალა ძვლები, დაიფქვა, დაქუცმაცდა, გაიწმინდა, მოიჭრა, მოსცილდა ხაოიანი ნაწილი, გაიფცქვნა, გაცივდა, გაიყინა, სწრაფად გაიყინა ან გალღვა; (კოდექსი)

გადამუშავება – ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს (მათ შორის, გაცხელება, შებოლვა, გახმობა, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა, ექსტრაქცია, ექსტრუზია ან ამ პროცესთა ნებისმიერი კომბინაცია); (კოდექსი)

გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები – პროდუქტი, რომელიც მიიღება გადაუმუშავებელი სურსათის/ცხოველის საკვების გადამუშავების შედეგად. გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები შეიძლება შეიცავდეს ინგრედიენტებს, რომლებიც აუცილებელია მის საწარმოებლად ან მისთვის სპეციფიკური თვისებების მისანიჭებლად; (კოდექსი)

ეკონომიკური საქმიანობა - პროცესი, რომლის საშუალებითაც მიიღება პროდუქცია (საქონელი ან მომსახურება). ეკონომიკურ საქმიანობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა გაერთიანებულია რესურსები (მოწყობილობები, სამუშაო ძალა, ტექნიკური საშუალებები, ნედლეული) კონკრეტული პროდუქციის შესაქმნელად; (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი)

ზოონოზური დაავადება – ცხოველის ისეთი გადამდები დაავადება, რომელიც ბუნებრივად გადაედება ცხოველიდან ადამიანს და ადამიანიდან ცხოველს; (კოდექსი)

ინდივიდუალური მეწარმე - არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით; (კანონი მეწარმეთა შესახებ)

კოოპერატივი - კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი იურიდიული პირის სტატუსის მქონე საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით; (კანონი მეწარმეთა შესახებ)

მაღალმთიანი რეგიონი – არის მაღალმთიანი დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი) რომელიც შეტანილია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც

ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს. ზღვის დონიდან შესაბამის სიმაღლეზე მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭებათ საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა; (მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონი)

მიკრო ბიზნესის სტატუსი - მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30,000 ლარს; (საქართველოს საგადასახადო კოდექსი)

მცირე ბიზნესი – იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 200,000 ლარს (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიზნებისთვის); (კოდექსი)

მცირე ბიზნესის სტატუსი - ეს არის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი, რომელიც შეიძლება მოიპოვოს მეწარმე ფიზიკურმა პირმა, თუ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 500,000 ლარიანი ზღვარს არ სცილდება; (საქართველოს საგადასახადო კოდექსი)

ოჯახური წარმოება – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით; (14)

ოჯახური წარმოების სუბიექტი – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან პირადი მოხმარების მიზნით; (კოდექსი)

პირველადი წარმოება – პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას (მოსავლის აღების, ნაყოფის კრეფის ჩათვლით); ცხოველის გაზრდას, მო-

შენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას;(კოდექსი)

სააქციო საზოგადოება - არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით; (კანონი მეწარმეთა შესახებ)

საბოლოო მომხმარებელი – მომხმარებელი, რომელიც სურსათს/ცხოველის საკვებს, ცხოველს, მცენარეს, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტებს, ვეტერინარულ პრეპარატს, პესტიციდს ან/და აგროქიმიკატს სარეალიზაციოდ არ იყენებს; (კოდექსი)

საიდენტიფიკაციო ნომერი – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული უნიკალური ნომერი; (241)

საზოგადოებრივი კვების ობიექტი - ნებისმიერი დაწესებულება, სატრანსპორტო საშუალებების, სტაციონარული, მობილური ჯიხურის (ფარდული, სავაჭრო დახლი) ჩათვლით (მაგალითად, რესტორანი, სასადილო, სკოლა, საავადმყოფო და სარესტორნო მომსახურება (სურსათის მომზადებისა და მიწოდების სერვისი)), სადაც სავაჭრო-საწარმოო საქმიანობით ხდება საბოლოო მომხმარებლისათვის მზა სურსათის დამზადება; (549)

სამეწარმეო საქმიანობა - სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად; (მეწარმეთა შესახებ კანონი)

საცალო ვაჭრობა – სურსათის დამუშავება, გადამუშავება ან/და სურსათთან დაკავშირებული სხვა ქმედება და სურსათის რეალიზაციის ადგილზე შენახვა ან საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდება. საცალო ვაჭრობა მოიცავს სადისტრიბუციო ტერმინალებს, საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, საწარმოებში არსებულ სასადილოებს, ორგანიზაციებში არსებულ კვების ობიექტებს, რესტორნებს, მაღაზიებს (მათ შორის, საბითუმო მაღაზიებს), სუპერმარკეტების სადისტრიბუციო ცენტრებს და სურსათთან დაკავშირებული მსგავსი მომსახურების გამწევ ობიექტებს; (კოდექსი)

სურსათი - არის ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი პროდუქტი, გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი. სურსათი მოიცავს ასევე ყველა სახის სასმელს, საღეჭ რეზინს და ყოველ ნივთიერებას დაფასოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით. სურსათი არ მოიცავს ცხოველის საკვებს, ფარმაცევტულ პრეპარატებს ან სამკურნალო პროდუქტებს, საერთო მოხმარების საგნებს, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს; (კოდექსი)

ტრადიციული მეთოდი – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, გადამუშავება ან/და დისტრიბუცია, აგრეთვე პირველადი წარმოება ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობისთვის გადაცემული მეთოდების გამოყენებით, ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მეურნეობებისა და სხვა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობების ჩათვლით; (კოდექსი)

ცხოველის საკვები - არის ნებისმიერი ნივთიერება ან პროდუქტი, საკვებდანამატების ჩათვლით, გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი, რომელიც გამიზნულია ცხოველის საკვებად; (კოდექსი)

ცხოველური წარმოშობის სურსათი - ადამიანის საკვებად განკუთვნილი გადამუშავებული პროდუქტი, ან გადაუმუშავებელი პროდუქტი, აგრეთვე გადამუშავებული პროდუქტის შემდგომი გადამუშავებით მიღებული პროდუქტი, რომელიც მიიღება სასურსათო დანიშნულების ცხოველისგან; (კოდექსი)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) - არის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად; (კანონი მეწარმეთა შესახებ)

ძირითადი საქმიანობის სახე - ეკონომიკური საქმიანობის სახე, რომელსაც შეაქვს უმეტესი წვლილი სტატისტიკური ერთეულების დამატებულ ღირებულებაში; (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი)

წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპები – პროცესის ყოველი ეტაპი, სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის იმპორტის, ექსპორტის, პირველადი წარმოების, გადამუშავების, შენახვის, შეგროვების, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდების ჩათვლით (კოდექსი).

რეგისტრაციის არსი და მისი საფეხურები

რა არის რეგისტრაცია?

რეგისტრაცია წარმოადგენს ეტაპს, როდესაც პირი ახდენს თავისი სურვილის დეკლარირებას, რომ მისი საქმიანობა დაკავშირებულია ან დაკავშირებული იქნება ერთის მხრივ სამეწარმეო საქმიანობასთან, ხოლო მეორეს მხრივ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან (მათ შორის პირველად წარმოებასთან), მის გადამუშავებასა თუ დისტრიბუციასთან (მათ შორის რეალიზაციასთან).

რა არის რეგისტრაციის მიზანი?

შესაბამის სააგენტოებში პირის **რეგისტრაცია საჭიროა 2 მიზნით**, ერთი სამეწარმეო საქმიანობის დეკლარირების მიზნით (მ.შ. საგადასახადო სამსახურთან ურთიერთობის მიზნით), ხოლო მეორე - სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვის მიზნით (სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობის მიზნით).

თუ თქვენ ცხოველური წარმოშობის სურსათს/ცხოველის საკვებს აწარმოებთ/გადაამუშავებთ ან/და ეწევით სურსათის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას) საკანონმდებლო მოთხოვნებთან თქვენი საქმიანობის შესაბამისობის მიზნით, ვალდებული ხართ გაიაროთ ამ გზამკვლევით აღწერილი ერთი ან რამოდენიმე საფეხური.

პირველი

დაადგინეთ ხართ თუ არა ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/გადამამუშავებელი ან დისტრიბუტორი და გეხებათ თუ არა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. დააზუსტეთ თუ კონკრეტულად რომელ ეტაპთან ხართ დაკავშირებული წარმოებასთან (მათ შორის პირველად წარმოებასთან), გადამუშავებასთან თუ დისტრიბუციასთან (მათ შორის რეალიზაციასთან).

მეორე

საქმიანობიდან გამომდინარე გაარკვიეთ წარმოება/გადამუშავება/დისტრიბუციის რომელ ტიპს/ქვეტიპს მიეკუთვნებით და შესაბამისად, რა სახის რეგისტრაციას საჭიროებთ.

მესამე

თუ თქვენ მიეკუთვნებით ბიზნესოპერატორს, ვალდებული ხართ თქვენი საქმიანობა დაარეგისტრიროთ ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში და აირჩიოთ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული საქმიანობა(ები), კონკრეტული ნომრის(ების) აღნიშვნით, იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია საქსტატის მიერ დამტკიცებულ საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში.

მეოთხე

თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის/ ცხოველის საკვების/ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის წარმოებასთან (გარდა პირველადი წარმოებისა, ოჯახური წარმოებისა, ტრადიციული მეთოდების გამოყენებით წარმოება ან/და გადამუშავება და მაღალმთიან რეგიონში წარმოება/გადამუშავებისა) ან/და გადამუშავებასთან ან/და ბაზარზე განთავსებასთან, ასევე ცხოველური წარმოშობის სურსათის სხვა საწარმოსთვის მიწოდების მიზნით საცალო ვაჭრობასთან ვალდებული ხართ მოიპოვოთ აღიარება. ამისათვის, ვალდებული ხართ საქმიანობის დაწყებამდე მიმართეთ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

მეხუთე

თუ თქვენ აწარმოებთ-აფასოებთ (ან გსურთ აწარმოოთ ან/და დააფასოვოთ) ბავშვთა ან/და ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტები ვალდებული ხართ საქმიანობის დაწყებამდე მიმართოთ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ლიცენზირების მიზნით.

1. სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება და მისი ეტაპები

როგორ უნდა დაადგინოთ ხართ თუ არა ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/გადამამუშავებელი ან დისტრიბუტორი და გეხებათ თუ არა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი?

კოდექსი ვრცელდება ნებისმიერ პირზე (ფიზიკური თუ იურიდიული), რომელიც დაკავშირებულია (ჩართულია) ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან (მათ შორის პირველად წარმოებასთან), მის გადამუშავებასთან ან დისტრიბუციასთან (მათ შორის რეალიზაციასთან).

მოდით განვსაზღვროთ თუ რა ტიპის რეგისტრაცია გესაჭიროებათ და დავადგინოთ სასურსათო ჯაჭვის (სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება/გადამუშავება/დისტრიბუცია) რომელ ეტაპთან არის დაკავშირებული თქვენი საქმიანობა. ამისათვის წარმოგიდგენთ თითოეული ეტაპის განმარტებას:

წარმოება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების პროცესი, მაგ. საქონლის ხორცის წარმოება, რომელიც მოიცავს საქონლის გამოზრდას (პირველადი წარმოება), მის დაკვლას და საქონლის ხორცისგან სხვადასხვა პროდუქტების გამზადებას.

პირველადი წარმოება არის პროცესი, რომელიც მოიცავს მცენარის მოყვანას (მოსავლის აღების, ნაყოფის კრეფის ჩათვლით), ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას. ანუ, გზამკვლევის თემატიკის შესაბამისად ნებისმიერი პირი, რომელსაც საკუთრებაში ჰყავს თუნდაც ერთი ფერმის ცხოველი მისგან პროდუქციის მიღების მიზნით.

გადამუშავება არის ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველადი პროდუქტის სახეს (მათ შორის, გაცხელება, შებოლვა, გახმობა, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა, ექსტრაქცია, ექსტრუზია ან ამ პროცესთა ნებისმიერი კომბინაცია). ანუ, გზამკვლევის თემატიკის შესაბამისად ნებისმიერი პირი, რომელიც ამუშავებს ცხოველური წარმოშობის სურსათს (მაგ. ამზადებს ყველს, მაწონს და სხვა რძის პროდუქტებს).

დისტრიბუციის ეტაპში მოიაზრება სურსათის/ცხოველის საკვების ტრანსპორტირება და რეალიზაცია. ანუ, გზამკვლევის თემატიკის შესაბამისად, ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციას, რომელიც ასევე მოიცავს რეალიზაციას აგრარულ ბაზარზე ან მაღაზიაში, ასევე ექსპორტ-იმპორტს.

2. წარმოების ტიპები

მას შემდეგ, რაც დაადგინეთ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების/ გადამუშავების/ დისტრიბუციის (მათ შორის რეალიზაციის) რომელ ეტაპს მიეკუთვნებით, კონკრეტული ეტაპიდან გამომდინარე უნდა გაარკვიოთ თუ რა ტიპის მწარმოებელი/გადამამუშავებელი/დისტრიბუტორი ხართ და შესაბამისად, რა სახის რეგისტრაციას ექვემდებარებით.

სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების (მათ შორის პირველადი წარმოების) ეტაპზე განასხვავებენ მწარმოებლების 2 ტიპს, **ოჯახური წარმოების სუბიექტი** და **ბიზნესოპერატორი** (ტერმინის გამარტივების მიზნით ბიზნესოპერატორს დავარქვათ „ორგანიზებული“ მწარმოებელი):

ოჯახური წარმოების სუბიექტი - ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით. ოჯახური წარმოების სუბიექტი თავის მხრივ 2 ქვეტიპად იყოფა: ა) სურსათის/ცხოველის საკვების პირადი მოხმარების მიზნით მწარმოებელი და ბ) სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებულად მწარმოებელი ოჯახური წარმოების სუბიექტი.

ბიზნესოპერატორი (ანუ „ორგანიზებული“ მწარმოებელი, გადამამუშავებელი, დისტრიბუტორი) – პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას და რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის. ანუ ის პირი, რომელიც „ორგანიზებულად“ აწარმოებს სურსათს ან/და ახდენს მის გადამუშავებას ან/ და დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას).

გაითვალისწინეთ, რომ ყველა ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში, თქვენი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს*, რომელიც წარმოების ტიპიდან გამომდინარე განსხვავებულ პროცედურებს მოიცავს!

** გამონაკლისს წარმოადგენს სურსათის/ცხოველის საკვების პირადი მოხმარების მიზნით მწარმოებელი, რომელიც საერთოდ განთავისუფლებულია რეგისტრაციისაგან.*

2.1. რეგისტრაცია საქმიანობის ეტაპიდან გამომდინარე

იმისათვის, რომ უკეთ გაერკვეთ თუ კონკრეტულად რომელი ტიპის (თუ ქვეტიპის) მწარმოებელს/გადამამუშავებელს/დისტრიბუტორს მიეკუთვნებით და შესაბამისად, საჭიროებთ თუ არა რეგისტრაციას და თუ საჭიროებთ კონკრეტულად რა სახის, შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შემდეგი განმარტებებით კითხვა-პასუხის ფორმატში:

რა არის სურსათის/ცხოველის საკვების ***ოჯახური წარმოება პირადი მოხმარების მიზნით?***

- ოჯახური წარმოების სუბიექტი, ანუ ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში შინაური ცხოველის, ფრინველის ან/და მიწის ნაკვეთის ფლობა და მათგან სურსათის, ან/და ცხოველის საკვების წარმოება, **მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით (საკუთარი ოჯახისათვის) და არა დისტრიბუციის (მათ შორის რეალიზაციის) მიზნით.**

რა არის სურსათის/ცხოველის საკვების ***ოჯახური წარმოება არაორგანიზებულად?***

- ოჯახური წარმოების სუბიექტს, ანუ ფიზიკურ პირის საკუთრებაში ჰყავს **განსაზღვრული სახეობისა და რაოდენობის ცხოველი და ფრინველი, ასევე ფლობს განსაზღვრული მოცულობის მიწის ნაკვეთს** და მათი გამოყენებით აწარმოებს სურსათს/ცხოველის საკვებს ან/და ახდენს მათ **დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას).**

ვინ არის ***ბიზნესოპერატორი („ორგანიზებული“ მწარმოებელი)?***

- პირს, რომელიც წარმოების (მათ შორის პირველადი წარმოების) ეტაპზე ფლობს არაორგანიზებულად მწარმოებელ ოჯახური წარმოების სუბიექტზე მეტ **ცხოველის/ფრინველის სახეობას ან/და მიწის ნაკვეთს** და მათგან აწარმოებს სურსათს/ცხოველის საკვებს, **შემდგომში მისი დისტრიბუციის (მათ შორის რეალიზაციის) მიზნით.**

შენიშვნა: *სხვაობა არაორგანიზებულად მწარმოებელ ოჯახური წარმოების სუბიექტსა და ბიზნესოპერატორს შორის გამოიხატება მფლობელობაში არსებული ცხოველის და ფრინველის სახეობასა და რაოდენობაში, ასევე მიწის ნაკვეთის მოცულობაში.*

წარმოების/გადამუშავების/დისტრიბუციის ეტაპების, ტიპების და მათი რეგისტრაციის ვალდებულების შესახებ დამატებითი თვალსაჩინოებისათვის იხილეთ გრაფიკი # 1.



შენიშვნა: *თუ ოჯახური წარმოების სუბიექტი, სურსათს აწარმოებს არა მარტო პირადი მოხმარების მიზნით, არამედ ეწევა მის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას) (თუნდაც მცირედი რაოდენობით), საგადასახადო სამსახურთან ურთიერთობის მიზნით, რეკომენდირებულია მიმართოს სსიპ შემოსავლების სამსახურს და მოიპოვოს მიკრო ბიზნესის სტატუსი.*

2.2. ოჯახური წამოების სუბიექტი და მისი რეგისტრაციის სახეები

ოჯახური წარმოების სუბიექტი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით, იგი იყოფა 2 ქვეტიპად:

I ოჯახური წარმოების სუბიექტი, რომელიც სურსათს/ცხოველის საკვებს ამზადებს მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით (ანუ სურსათის/ცხოველის საკვების პირადი მოხმარების მიზნით მწარმოებელი).

II ოჯახური წარმოების სუბიექტი, რომელიც სურსათს/ცხოველის საკვებს ამზადებს არაორგანიზებულად, დისტრიბუციის (მათ შორის რეალიზაციის) მიზნით (ანუ სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებულად მწარმოებელი ოჯახური წარმოების სუბიექტი).

ოჯახურმა მწარმოებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელ ქვეტიპს მიეკუთვნება და საჭიროებს თუ არა იგი თავისი ოჯახური წარმოების დარეგისტრირებას სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში.

დაიმახსოვრეთ, რომ ვინაიდან სურსათის/ცხოველის საკვების პირადი მოხმარების მიზნით მწარმოებელი არ ახდენს წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას), არ საჭიროებს რეგისტრაციას არც ერთ ზემოთაღნიშნულ სააგენტოში.

ოჯახური წარმოების სუბიექტი **საჭიროებს რეგისტრაციას სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში**, თუ მის საკუთრებაშია, ფლობს ან/და აწარმოებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმე საკუთრებას ერთდროულად და ახდენს წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას):

- არაუმეტეს 300 ფრთა ფრინველი და მისგან წარმოებული ხორცი ან/და კვერცხი;
- არაუმეტეს 10 ფუტკრის სკა და მისგან წარმოებული თაფლი;
- არაუმეტეს 30 სული ბოცვრისნაირი და მისგან წარმოებული ხორცი;
- **მსხვილფეხა საქონლისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, იმ შემთხვევაში, თუ ამ მსხვილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 5 სულს;**
- **წვრილფეხა საქონლისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, იმ შემთხვევაში, თუ ამ წვრილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 15 სულს;**

- არაუმეტეს 2 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე წარმოებული სურსათი ან/და ცხოველის საკვები.

სურსათის/ცხოველის საკვების **პირადი მოხმარების მიზნით მწარმოებლის** იდენტიფიცირების თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

1) *მართა არის ფიზიკური პირი და ცხოვრობს სოფელ „B“-ში, ჰყავს: **2 სული** მსხვილფეხა პირუტყვი (ძროხა), 3 სული ცხვარი და ამასთანავე ფლობს 500 მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. შინაური მეურნეობიდან მიღებულ ნაწარმს (რძე და რძის ნაწარმი) **მოიხმარს მხოლოდ ოჯახში**. ამ შემთხვევაში, ვინაიდან მართა სურსათს მოიხმარს მხოლოდ ოჯახში და არ ახორციელებს მის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას), მას არ მოეთხოვება რეგისტრაცია.*
2) *მანანა არის ფიზიკური პირი და ცხოვრობს სოფელ „C“-ში, ჰყავს: **15 სული** მსხვილფეხა პირუტყვი (ძროხა), 30-მდე ფრინველი და ამასთანავე ფლობს 500 მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. შინაური მეურნეობიდან მიღებულ ნაწარმს (რძე და რძის ნაწარმი, კვერცხი) **მოიხმარს მხოლოდ ოჯახში**. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მანანას საკუთრებაში ჰყავს 5 სულზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი (ანუ დადგენილებით განსაზღვრულზე მეტი), ვინაიდან, მანანა სურსათს მოიხმარს მხოლოდ ოჯახში და არ ახორციელებს მის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას), მას არ მოეთხოვება რეგისტრაცია.*

სურსათის/ცხოველის საკვების **არაორგანიზებულად მწარმოებელი ოჯახური წარმოების სუბიექტის** იდენტიფიცირების თვალსაჩინოებისათვის კი განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

*1) გელა არის ფიზიკური პირი და ცხოვრობს სოფელ „A“-ში, საკუთრებაში ჰყავს: **3 სული** მსხვილფეხა პირუტყვი (ძროხა), 15 სული ცხვარი, 300-მდე ფრინველი და ამასთანავე, ფლობს 2 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ოჯახური მეურნეობიდან მიღებულ ნაწარმს (რძე და რძის ნაწარმი, კვერცხი) მოიხმარს როგორც ოჯახში, ასევე, **პერიოდულად, ახდენს გარკვეული რაოდენობის პროდუქტის რეალიზებას** ადგილობრივ დასახლებაში. ამ შემთხვევაში, ვინაიდან გელას საკუთრებაში ჰყავს 5 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი (ანუ რაოდენობები არ აღემატება ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ რაოდენობებს) და ახდენს*

ოჯახური მეურნეობიდან მიღებული პროდუქციის თუნდაც მცირედი ნაწილის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას), იგი არის ***სურსათის არაორგანიზებულად მწარმოებელი ოჯახური წარმოების სუბიექტი*** *და ვალდებულია დარეგისტრირდეს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში (რეგისტრაცია უფასოა).*

2) ლელა არის ფიზიკური პირი და ცხოვრობს სოფელ „A"-ში, საკუთრებაში ჰყავს: ***7 სული*** *მსხვილფეხა პირუტყვი (ძროხა), 12 სული ცხვარი, 250-მდე ფრინველი და ამასთანავე, ფლობს 2 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ოჯახური მეურნეობიდან მიღებულ ნაწარმს (რძე და რძის ნაწარმი, კვერცხი, მიწის ნაკვეთზე წარმოებული ცხოველის საკვები) მოიხმარს როგორც ოჯახში, ასევე პერიოდულად, გარკვეული რაოდენობის პროდუქტის* ***რეალიზებას ახდენს*** *ადგილობრივ დასახლებაში. ამ შემთხვევაში, ვინაიდან ლელას საკუთრებაში ჰყავს 5 სულზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი (ანუ დადგენილებით განსაზღვრულზე მეტი) და ახდენს ოჯახური მეურნეობიდან მიღებული პროდუქციის ნაწილის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას), ლელა სცდება ოჯახური სუბიექტის ტერმინის განმარტებას, იგი არის „ორგანიზებული" მწარმოებელი და ვალდებულია გახდეს მეწარმე სუბიექტი და ასევე დარეგისტრირდეს* ***ბიზნესოპერატორად*** *სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.*

სად უნდა დარეგისტრირდეთ არაორგანიზებულად მწარმოებელ ოჯახური წარმოების სუბიექტად?

ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრირდებით სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ ოფისებში.

რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

- *სახელი და გვარი*
- *პირადი ნომერი*
- *ფაქტობრივი მისამართი*
- *საქმიანობის სახე (მაგ. კონკრეტული ცხოველის სახეობის ფლობა და მისგან პროდუქციის წარმოება).*

ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრაციის განცხადების ფორმისათვის იხილეთ დანართი #1.

რეგისტრაციის შემდგომ, თქვენი ინფორმაცია შეყვანილ იქნება სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და მოგენიჭებათ რეგისტრაციის ნომერი, რომელიც არის თქვენი პირადი ნომერი.

ეს მნიშვნელოვანია
როგორც ოჯახური წარმოების სუბიექტი, თქვენ შესაძლოა სურსათის/ცხოველის საკვების დიდ ნაწილს აწარმოებდეთ პირადი მოხმარების მიზნით, თუმცა პერიოდულად ასევე ახდენდეთ მისი გარკვეული რაოდენობის დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას). ამ შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ დარეგისტრირდეთ სურსათის ეროვნულ სააგენტოში, როგორც არაორგანიზებულად მწარმოებელი ოჯახური წარმოების სუბიექტი.

2.3. ბიზნესოპერატორი და მისი რეგისტრაცია

ბიზნესოპერატორი გულისხმობს პირს, რომელიც წარმოების (მათ შორის პირველადი წარმოების) ეტაპზე ფლობს არაორგანიზებულად მწარმოებელ ოჯახური წარმოების სუბიექტზე მეტ **ცხოველის/ფრინველის სახეობას ან/და მიწის ნაკვეთს** და მათგან აწარმოებს სურსათს/ცხოველის საკვებს, **შემდგომში მისი დისტრიბუციის (მათ შორის რეალიზაციის) მიზნით, ან ახორციელებს წარმოებული სურსათის/ცხოველის საკვების მხოლოდ გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას).**

ვინ შეიძლება ჩაითვალოს ბიზნესოპერატორად?

1) *ნიკო ცხოვრობს სოფელ „C“-ში, ჰყავს: **30 სული** მსხვილფეხა პირუტყვი. შინაური მეურნეობიდან მიღებულ ნაწარმს (რძე და რძის ნაწარმი) მოიხმარს, როგორც ოჯახში, ასევე, პერიოდულად ან რეგულარულად, გარკვეული რაოდენობის **პროდუქტის რეალიზებას ახდენს** ადგილობრივ დასახლებაში. ამ შემთხვევაში, ვინაიდან ნიკოს საკუთრებაში ჰყავს 30 სული მსხვილფეხა პირუტყვი (ანუ 5-ზე მეტი) იგი წარმოადგენს ბიზნესოპერატორს („ორგანიზებულ“ პირს) და ვალდებულია დარეგისტრირდეს ბიზნესოპერატორად.*
2) *შპს „A“ იბარებს რძეს ფერმა „B“-სგან, აწარმოებს სულგუნს და რძემჟავა პროდუქტებს (ხაჭო და მაწონი) და წარმოებულ პროდუქციას ქალაქ „C“-ში **აბარებს საზოგადოებრივი კვების ობიექტს** - რესტორან „D“-ს და სურსათის სარეალიზაციო ქსელს შპს „E“-ს. ამ შემთხვევაში შპს „A” წარმოადგენს ბიზნესოპერატორს („ორგანიზებულ“ პირს) და ვალდებულია დარეგისტრირდეს ბიზნესოპერატორად.*

3) *ვანო ვაჭრობს აგრარულ ბაზარში, ის არაორგანიზებულად მწარმოებელი ოჯახური წარმოების სუბიექტისგან რეგულარულად* ***იბარებს რძეს და რძის პროდუქტებს და ახდენს მათ დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას)****. ამ შეთხვევაში ვანოს საქმიანობა მიეკუთვნება დისტრიბუციის (მათ შორის რეალიზაციის) ეტაპს და შესაბამისად იგი წარმოადგენს ბიზნესოპერატორს („ორგანიზებულ“ პირს) და ვალდებულია დარეგისტრირდეს ბიზნესოპერატორად.*

ბიზნესოპერატორი (ანუ პირი, რომელიც ორგანიზებული სახით ახდენს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, გადამუშავებას ან დისტრიბუციას (მათ შორის რეალიზაციას) ვალდებულია დარეგისტრირდეს ბიზნესოპერატორად, ანუ მისი საქმიანობის სახე დაარეგისტრიროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

მაგ.: შპს „ყველის საამქრო“, რომელიც აწარმოებს ყველს და ახდენს მის რეალიზებას, წარმოების დაწყებამდე, მისი საქმიანობა - ყველის წარმოება/რეალიზაცია დარეგისტრირებული უნდა ჰქონდეს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში საქმიანობის რეგისტრაციის მოთხოვნა (ანუ ამ გზამკვლევის მიზნებისათვის ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია) შეგიძლიათ 2 შემთხვევაში:

1) თუ თქვენ დარეგისტრირებული ხართ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (ანუ ბიზნეს რეესტრში დარეგისტრირებული ხართ მეწარმე სუბიექტად).
2) თუ თქვენ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დარეგისტრირებული ხართ შემოსავლების სამსახურში, ანუ აღრიცხული ხართ გადასახადის გადამხდელად.

2.3.1. მეწარმე სუბიქტები და მათი რეგისტრაცია ბიზნეს რეესტრში

ვინ არის მეწარმე სუბიექტი?

მეწარმე (ფიზიკური/იურიდიული) სუბიექტი არის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ხოლო სამეწარმეო საქმიანობა არის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

რომელ მეწარმე (ფიზიკური/იურიდიული) სუბიექტად არის რეესტრში რეგისტრაცია შესაძლებელია?

- *ინდივიდუალური მეწარმე*
- *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება*
- *სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება*
- *კომანდიტური საზოგადოება*
- *სააქციო საზოგადოება*
- *კოოპერატივი*
- *არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი*

ვინ ითვლება მეწარმე ფიზიკურ სუბიექტად?

მეწარმე სუბიექტად ითვლება მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმე.

ვინ ითვლება მეწარმე იურიდიულ სუბიექტად?

მეწარმე იურიდიულ სუბიექტებს წარმოადგენენ: შპს, სს, კოოპერატივი და სხვა.

სად ხდება მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია?

მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში (ბიზნეს რეესტრში).

მეწარმის რეგისტრაციის მიზნით შეგიძლიათ მიმართო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირებს.

შენიშვნა: *გზამკვლევში წარმოდგენილი იქნება მაგალითები ბიზნეს-ოპერატორებს შორის ყველაზე გავრცელებული მეწარმე (ფიზიკური/იურიდიული) სუბიექტების (მ.შ. ინდივიდუალური მეწარმე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი) გათვალისწინებით. სხვა ტიპის მეწარმე სუბიექტების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის გაეცანით საქართველოს კანონს მეწარმეთა შესახებ ან მიმართეთ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.*

რას მოიცავს მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის პროცედურა?

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უნდა წარადგინოთ განცხადება და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასევე შესაძლებელია წარდგენილი იქნას პირადობის ნეიტრალური მოწმობა[4] ან ნეიტრალურ სამგზავრო[5] დოკუმენტი).

განცხადება ივსება შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში უშუალოდ დოკუმენტების მიმღები ოპერატორის მიერ, სადაც უნდა მიეთითოს:

- განმცხადებლის სახელი;
- ინფორმაცია საწარმოს ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ;
- განმცხადებლის პირადი ნომერი;
- განცხადების შევსების თარიღი;
- განმცხადებლის ხელმოწერა;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი და იურიდიული მისამართისგან განსხვავებული მისამართი, რომლებზე მიღებული გზავნილიც ჩაბარებულად ჩაითვლება.

ყველა სხვა დანარჩენი ფორმით მეწარმე სუბიექტად რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უნდა წარუდგინოთ საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, სადაც მიეთითება:

- საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;
- საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (იურიდიული ფორმა); (მაგ.: შ.პ.ს., სს და ა.შ)
- საწარმოს იურიდიული მისამართი;

4. **პირადობის ნეიტრალური მოწმობა** - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას და მის საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე. პირადობის ნეიტრალური მოწმობის მიღება შეუძლია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, რომელთაც მიღებული არ აქვთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი;

5. **ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი** - მისი მფლობელი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის ვინაობას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირი უფლებამოსილია დოკუმენტი გამოიყენოს სამგზარო დოკუმენტად საზღვარგარეთ გადაადგილების და საქართველოში დაბრუნების მიზნებისთვის. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე;

რატომ არის სავლდებულო იურიდიული და ფაქტიური მისამართების მითითება?

საწარმოს იურიდიული მისამართის მითითება სავალდებულოა იმ მიზნით, რომ ოფიციალური წერილებისა და სხვადასხვა სახის კორესპონდენციის გაგზავნა ხდება იურიდიულ მისამართზე.

საწარმოს ფაქტიური მისამართის მითითება სავალდებულოა იმ მიზნით, რომ საჭიროების შემთხვევაში სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები მივიდნენ უშუალოდ საწარმოს მისამართზე.

გაითვალისწინეთ:

1) *საწარმოო ფართის (ანუ საწარმოს ფაქტიური მისამართის) ცვლილების შემთხვევაში თქვენ უნდა განახორციელოთ მეწარმე სუბიექტის ფაქტიური მისამართის ცვლილება ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან პირველ ეტაპზე მოხდება თქვენი გაფრთხილება, შემდეგ კი დაჯარიმება.*
2) *თუ იურიდიული მისამართის ცვლილების შესახებ ინფორმაციას არ დააფიქსირებთ საჯარო რეესტრში, შესაძლოა თქვენთან ვერ მოხდეს საჭირო და მნიშვნელოვანი კორესპონდენცია.*
3) *საწარმოს ფაქტიური და იურიდიული მისამართები მითითებული უნდა იყოს სრულად (ქუჩის დასახლება და ნომერი, ბინის ნომერი და ა.შ.).*

რა არის საიდენტიფიკაციო ნომერი?

მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირების შემთხვევაში თქვენ მოგენიჭებათ საიდენტიფიკაციო ნომერი (უნიკალური კოდი), რომელიც არის უცვლელი და იგი უქმდება სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებასთან ერთად. საიდენტიფიკაციო ნომერი შეიძლება იყოს:

- *ინდივიდუალური მეწარმისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი.*
- *ყველა სარეგისტრაციო სუბიექტისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული ცხრანიშნა ნომერი;*

როდის ხდება თქვენი, როგორც მეწარმე სუბიექტის სტატუსი აქტიური?

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე, ან გადაწყვეტილების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებისთანავე, რის შედეგადაც თქვენი, როგორც მეწარმე სუბიექტის სტატუსი ხდება აქტიური. რეგისტრაციის შემდეგ პირი მიიღებს ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იხ. დანართი #2).

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

გაითვალისწინეთ:
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (ბიზნეს რეესტრში) დაცული მონაცემები რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი გაუქმების შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ელექტრონულად ეგზავნება სსიპ შემოსავლების სამსახურს, შემდგომში მათი მხრიდან შესაბამისი რეაგირების მიზნით.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
მეწარმე სუბიექტთა რეესტრის მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.
მეწარმე სუბიექტთა რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების სანახავად უნდა ეწვიოთ სააგენტოს ოფიციალურ ვებ. გვერდს: www.napr.gov.ge.

2.3.2. პირის რეგისტრაცია გადასახადის გადამხდელად შემოსავლების სამსახურში

გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელსაც აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის გადახდის ვალდებულება.

რას მოიცავს გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა?

- საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას
- რეგისტრირებული მონაცემების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში (საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში) შეტანას

სად რეგისტრირდება მეწარმე სუბიექტი გადასახადების გადამხდელად?
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მეწარმე სუბიექტის სტატუსის აღების დროს, ავტომატურად ხდება თქვენი ინფორმაციის ასახვა სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო რეესტრის ელექტრონულ ბაზაში. საჭიროა მხოლოდ გადამხდელის სტატუსის ავტორიზაცია, ანუ მეწარმე სუბიექტად რეგისტრაციის დროს მითითებულ ელ. ფოსტაზე მოსული კოდით www.rs.ge საიტზე დარეგისტრირება, რისთვისაც არ არის საჭირო სსიპ შემოსავლების სამსახურში ფიზიკურად მისვლა.

შენიშვნა: *გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ სსიპ შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სერვის ცენტრს.*

გადასახადების გადამხდელად რეგისტრაციის დროს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები

მიკრო მეწარმოება (მიკრო ბიზნესის სტატუსი) და მცირე მეწარმეობა (მცირე ბიზნესის სტატუსი) არის სპეციალური (შეღავათიანი) დაბეგვრის რეჟიმის სახეობები, რომელთაგან ერთ-ერთის მოპოვების მიზნით უნდა აკმაყოფილებდეთ შესაბამის პირობებს.

მიკრო ბიზნესის სტატუსი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მიკრო ბიზნესისთვის განსხვავებულ კრიტერიუმებს და ქვეყანაში შემოღებულა მიკრო ბიზნესისთვის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი. ამასთან, მიკრო ბიზნესი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან და მიმდინარე გადასახდელების გადახდისგან. მიკრო ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არის გადასახადის გადამხდელი. მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად მეწარმე ფიზიკურ პირად, როგორც მეწარმე ფიზიკურ სუბიექტად ყოფნა სავალდებულო არ არის.

ვის შეიძლება მიენიჭოს მიკრო ბიზნესის სტატუსი?

მიკრო ბიზნეს სტატუსი შეიძლება მოგენიჭოთ, თუ აკმაყოფილებთ შემდეგ პირობებს:

- არ გყავთ დაქირავებული პერსონალი (გარდა ოჯახის წევრებისა);
- დამოუკიდებლად ეწევით საქმიანობას;
- კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30,000 ლარს.

ვის უნდა მიმართოთ მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე?

მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით უნდა მიმართოთ საგადასახადო ორგანოს - სსიპ შემოსავლების სამსახურს. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას სტატუსის მინიჭების თაობაზე და აღნიშნული განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში გასცემს მიკრო ბიზნესის სერტიფიკატს (იხ. დანართი #3).

ვის შეიძლება მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი?

შემოსავლების სამსახური გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს თუ:

- თქვენ რეგისტრირებული ხართ ინდ. მეწარმედ (გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა);
- ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500,000 ლარს.
- ახორციელებთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სპეციფიკურ საქმიანობას;

მცირე ბიზნესის სერტიფიკატი გაიცემა უვადოდ (იხ. დანართი #4) და ძალაშია თუ ფიზიკურ პირს არ გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი. მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელსაც გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი, უფლება აქვს სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს და კვლავ მიიღოს სტატუსი.

თუ თქვენ გაქვთ მიკრო ბიზნესის სტატუსი და გსურთ აიღოთ მცირე ბიზნესის სტატუსი:

მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის უნდა მიმართოთ საგადასახადო ორგანოს - სსიპ შემოსავლების სამსახურს.

საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას სტატუსის მინიჭების თაობაზე და განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს.

3. ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაცია

რა არის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრი?

ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მონაცემების შეგროვების და სტატისტიკის წარმოების მიზნით, საჯარო რეესტრის სისტემაში შეიქმნა ახალი რეესტრი, რომელიც ახდენს ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციას ეკონომიკური საქმიანობების სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის გამოყენებით.

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის დროს ხდება საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული საქმიანობის(ების), კონკრეტული ნომრის(ების) მითითება, იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია საქსტატის მიერ დამტკიცებული საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში (ანუ საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდები).

ვინ უნდა დარეგისტრირდეს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში?

თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება/გადამუშავება/დისტრიბუციასთან (მათ შორის ბაზარზე განთავსებასთან) ვალდებული ხართ საქმიანობა დაარეგისტრიროს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

როდის უნდა დარეგისტრირდეთ ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში?

მას შემდეგ რაც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დარეგისტრირდებით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში (ბიზნეს რეესტრში) მეწარმე (ფიზიკურ ან იურიდიულ) სუბიექტად (მაგ.: შპს, ი/მ, სს, კოოპერატივი და სხვ.) ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში დარეგისტრირდებით შემოსავლების სამსახურში, ანუ აღირიცხებით გადასახადის გადამხდელად (გზამკვლევის თემატიკის შესაბამისად მიიღებს მიკრო ბიზნესის სტატუსს).

დაიმახსოვრეთ: რეგისტრაციის გარეშე ბიზნესოპერატორის საქმიანობა აკრძალულია !!

რომელი უწყება ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციას?

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისთვის შეგიძლიათ მიმართო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირებს.

რას მოიცავს სარეგისტრაციო პროცედურა?

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისთვის თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტაცია ერთ ეგზემპლარად:

- განცხადება უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერით[6];
- განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ არის დაინტერესებული პირი, ან არ დგინდება მის მიერ დაინტერესებული პირის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილება);
- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ ინფორმაცია, **კონკრეტული ნომრის (მათ შორის, ქვეკლასის ნომრის) აღნიშვნით**, იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია საქსტატის მიერ დამტკიცებული საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში.
- ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის ადგილის (მისამართის) შესახებ, სადაც ხორციელდება საქმიანობის კონკრეტული სახე.

უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შედეგად მზადდება ამონაწერი, რომელიც ასახავს ეკონომიკური საქმიანობების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს (იხ. დანართ #5).

განცხადებების წარდგენა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემა შესაძლებელია როგორც ფიზიკურად სააგენტოს ტერიტორიულ ოფისში ადგილზე მისვლით, ასევე ელექტრონული კანცელარიის საშუალებით პორტალიდან www.my.gov.ge.

ეს მნიშვნელოვანია:
თუ სხვადასხვა საქმიანობას ახორციელებთ, განცხადებაში უნდა მიუთითოთ თითოეული საქმიანობის ადგილი (მისამართი). საქმიანობის ადგილად (მისამართად) მიუთითეთ ისეთი, მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა.

6. გაითვალისწინეთ, რომ განცხადების შევსების დროს საჭიროა ბიზნესის ფაქტიური მისამართისა და საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდის ინფორმაციის მითითება

თუ სარეგისტრაციო განცხადებაში არ არის მითითებული სიურიდიული მისამართისაგან განსხვავებული მისამართი, სადაც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული სახე, მიიჩნევა, რომ განცხადებაში აღნიშნული საქმიანობის ყველა სახე ხორციელდება სუბიექტის იურიდიულ მისამართზე.

რა ვადით ხდება ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაცია?

რეგისტრაციის მომენტიდან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის **ვადაა 1 წელი.** ამ ვადის გასვლის შემდეგ თქვენი რეგისტრაცია ჩაითვლება ძალადაკარგულად, თუ არ წარმოადგენთ მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 1 თვის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

ბიზნესოპერატორი ვალდებულია საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან/და საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში ცვლილების შეტანის მიზნით, აცნობოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

როდის ხდება ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის გაუქმება?

ეკონომიკური საქმიანობის გაუქმება ხდება თუ:

- თქვენ მიმართავთ სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით;
- წარდგენილ იქნა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება სავალდებულო რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული ეკონომიკური საქმიანობის გაუქმების შესახებ;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

3.1. ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული ეკონომიკურ საქმიანობათა სახეები

იმისათვის, რომ ზუსტად მოახდინოთ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობების სახეების შერ-

ჩევა, განვიხილოთ აღნიშნული კლასიფიკატორის სტრუქტურა, რომელიც შედგება ორი ბლოკისგან:

1) საიდენტიფიკაციო ბლოკი - რომელსაც აქვს კლასიფიკაციის იერარქიული სტრუქტურა და კოდირების სისტემა (ანბანურ-ციფრული კოდის გამოყენებით). სექციები კოდირებულია ანბანური კოდით, ხოლო ქვესექციები (განყოფილება, ჯგუფი, კლასი და ქვეკლასი) ციფრული კოდის გამოყენებით.
2) დასახელებების ბლოკი - რომელშიც გაშიფრულია საიდენტიფიკაციო ბლოკის იერარქიული სტრუქტურის (სექცია, განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი) და მისი კოდირების სისტემის დასახელებები და შიგთავსი.

საიდენტიფიკაციო ბლოკი

საკლასიფიკაციო ობიექტის სრული კოდი		
იერარქიული სტრუქტრია	Y.XX.XX.X	A.01.41.0
სექცია	Y	A
განყოფილება	XX	01
ჯგუფი	X	4
კლასი	XX	41
ქვეკლასი	X	0

დასახელებების ბლოკი

მაგალითი: **საკლასიფიკაციო ობიექტის კოდია A 01.41.0, სადაც:**

ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის საკლასიფიკაციო ობიექტის სრული კოდი		
საიდენტიფიკაციო ბლოკი		დასახელებების ბლოკი
იერარქიული სტრუქტურა	კოდირების სისტემა	
სექცია	A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
განყოფილება	01	მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა
ჯგუფი	01.4	მეცხოველეობა
კლასი	01.41	მერძეული ჯიშების პირუტყვის მოშენება
ქვეკლასი	01.41.0	მერძეული ჯიშების პირუტყვის გამოზრდა და მოშენება; ფურისა და ფურკამეჩის ნედლი რძის წარმოება

ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორში, რძისა და ხორცის სექტორთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სექციებია:

A – სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა; C - დამამუშავებელი მრეწველობა; G - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; M - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; N - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები.

***შენიშვნა:** ეკონომიკური საქმიანობების სახეების კლასიფიკატორის საკლასიფიკაციო ობიექტის კოდ(ებ)ის ანუ საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდ(ებ)ის სწორად შერჩევისათვის კონსულტაცია გაიარეთ სურსათის ეროვნულ სააგენტოში.*

მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში მითითებული იყოს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახე.

მაგალითად, თუ პირად საკუთრებაში გყავთ მერძეული ჯიშის პირუტყვი (კოდი A 01.41.0) და ამავდროულად ახდენთ აღნიშნული პირუტყვიდან მიღებული რძის, რძის პროდუქტების გადამუშავებას და წარმოებას (კოდი C 10.51.0) ჩამონათვალში მონიშნული უნდა გქონდეთ საქმიანობის ორივე სახე. წინააღმდეგ შემთხვევაში პირველ ეტაპზე მოხდება თქვენი გაფრთხილება, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში, დაჯარიმდებით 500 ლარით.

სურსათის ბიზნესოპერატორისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის საკლასიფიკაციო ობიექტის კოდების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებულია დანართში #6.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების სანახავად უნდა ეწვიოთ სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდს: www.napr.gov.ge.

4. ბიზნესოპერატორის აღიარება

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებლები/გადამამუშავებლები/დისტრიბუტორები (გარდა ქვევით მოცემული კანონმდებლობებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) საქმიანობის დაწყებამდე ვალდებულნი არიან მიმართონ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს საქმიანობის აღიარების მოპოვების მიზნით.

აღიარების გარეშე იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომელიც ექვემდებარება აღიარებას, გამოიწვევს პირის დაჯარიმებას და საქმიანობის შეჩერებას.

რას გულისხმობს აღიარება?

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების საფუძველზე, რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას, რომლის დროსაც გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი (იხ. დანართი #7).

რომელი ბიზნესოპერატორის აღიარებაა სავალდებულოა?

რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია:

- ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან;
- ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან ან/და ბაზარზე განთავსებასთან;
- ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის წარმოებასთან;
- ცხოველური წარმოშობის სურსათის სხვა საწარმოსთვის მიწოდების მიზნით საცალო ვაჭრობასთან.

ბიზნესოპერატორის სურვილის და შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია აღიაროს ისეთი საქმიანობა, რომელიც არ ექვემდებარება სავალდებულო აღიარებას.

რომელი ბიზნესოპერატორი არ ექვემდებარებიან აღიარებას?

ის ცხოველური წაროშობის სურსათის მწარმოებლები ან/და გადამამუშავებლები, რომლებიც ახორციელებენ:

- ოჯახურ წარმოებას;
- პირველად წარმოებას;
- ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას;
- მაღალმთიან რეგიონში ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას;
- პირველადი პროდუქტის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;
- ფერმაში დაკლული ფრინველის და ბოცვრისნაირების ხორცის, ნანადირევი გარეული ცხოველისა და ფრინველის ან ნანადირევის ხორცის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;
- ისეთი ცხოველური წარმოშობის სურსათის შენახვას, რომელიც არ საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტემპერატურული რეჟიმების კონტროლს;
- საცალო ვაჭრობისას, მხოლოდ ცხოველური წარმოშობის სურსათის შენახვას ან ტრანსპორტირებას; ასევე, ცხოველური წარმოშობის სურსათის მხოლოდ ერთი საცალო ვაჭრობის პუნქტიდან მეორე საცალო ვაჭრობის პუნქტს მიეწოდებას ადგილობრივად.

ვინ ახორციელებს ბიზნესოპერატორის აღიარებას?

აღიარებას ახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, ობიექტზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის (ინსპექტირების) შედეგების მიხედვით.

როგორია ბიზნესოპერატორის აღიარების პროცედურები და ვადები?



რა არის აღიარების მოპოვების პირველი ეტაპი?

აღიარების მოთხოვნისათვის სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში უნდა წარადგინოთ განცხადება (იხ. დანართი #8), სადაც უნდა მიუთითოთ:

- ბიზნესოპერატორის საფირმო სახელწოდება
- სამართლებრივი ფორმა
- საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი
- ეკონომიკური საქმიანობის ადგილი (მისამართი)
- ეკონომიკური საქმიანობის სახე (სექცია, განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი)

განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში სააგენტო ადგილზე განახორციელებს სახელმწიფო კონტროლს, კერძოდ, ინსპექტირებას.

ინსპექტირება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპების ცალკეული ასპექტების გამოკვლევა მათი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და წესებთან შესაბამისობის დასადგენად, ბიზნესოპერატორის წინასწარი გაფრთხილების გარეშე და მოიცავს:

ა) ბიზნესოპერატორის საქმიანობის შემოწმებას სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;
ბ) დოკუმენტური შემოწმების განხორციელებას;
გ) ნიმუშის აღებას აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევების ჩატარების მიზნით.

სახელმწიფო კონტროლის (ინსპექტირების) დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში, სახელმწიფო კონტროლის (კერძოდ, ინსპექტირების) შედეგების მიხედვით, სააგენტო:

- მოგანიჭებთ აღიარებას

ან

- მოგანიჭებთ პირობით აღიარებას

ან

- უარს გეტყვით აღიარებაზე

რა ვადით ხდება აღიარების მინიჭება?

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო აღიარებას ანიჭებს უვადოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

თუ ინსპექტირების შედეგებით დადგინდება, რომ თქვენი საქმიანობა სრულად არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ საწარმოს ინფრასტრუქტურა, მოწყობილობები და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო 6 თვის ვადით მოგანიჭებთ პირობით აღიარებას და გაძლევთ მითითებებს შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

რა ხდება პირობითი აღიარების მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ?

სააგენტო განმეორებით განახორციელებს ინსპექტირებას, რომლის საფუძველზე:

- გაგიგრძელდებათ პირობითი აღიარება, თუ არ არის შესრულებული სააგენტოს ყველა მითითება და თქვენი საქმიანობა სრულად ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:
  - აღმოჩნდება ისეთი შეუსაბამობა, რომელიც მაღალ რისკს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიც არის კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებითი შეჩერების საფუძველი, ასეთი სახის შეუსაბამობის აღმოფხვრამდე;
  - ვალდებული ხართ და არ გაქვთ დანერგილი სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად;
- მოგენიჭებათ აღიარება, თუ თქვენი საქმიანობა სრულად დააკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

შესაძლებელია თუ არა პირობითი აღიარების ვადის გაგრძელება?

შესაძლებელია გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი შეუსაბამობები არ წარმოადგენს რისკს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის და ბიზნესოპერატორი იძლევა გარანტიას, რომ ამ გონივრული ვადის განმავლობაში უზრუნველყოფს გაცემული მითითებების შესრულებას.

გაითვალისწინეთ, რომ პირობითი აღიარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განმეორებითი ინსპექტირების საფუძველზე:

- ან მოგენიჭებათ აღიარება
- ან მოგიწევთ საქმიანობის შეწყვეტა

იმ შემთხვევაში, თუ უარი გეთქვათ პირობითი აღიარების გაგრძელებაზე და განცხადებით მიმართეთ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს აღიარების შესახებ, განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს თქვენი ინსპექტირება და ინსპექტირების შედეგების მიხედვით, თუ თქვენი საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს მოგენიჭებათ აღიარება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უარს მიიღებთ აღიარებაზე.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო აღიარებულ ბიზნესოპერატორს, მათ შორის, პირობით აღიარებულ ბიზნესოპერატორს, ანიჭებს აღიარების ნომერს, რომელიც მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის/ქალაქის ინდექსს
- კლასიფიკატორის შესაბამისი ჯგუფის ნომერს

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო აწარმოებს აღიარებული ბიზნესოპერატორების რეესტრს და უზრუნველყოფს მის განახლებას. ინფორმაცია აღიარებული ბიზნესოპერატორის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, მინიჭებული აღიარების ნომერის შესახებ, ასევე, წარმოებული/გადამუშავებული ცხოველური სურსათის სახეობების შესახებ, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

რა შემთხვევაში ხდება აღიარების გაუქმება?

აღიარების გაუქმება ხდება, თუ:

- ინსპექტირების საფუძველზე, ერთი წლის განმავლობაში 2-ჯერ გექნებათ შეჩერებული საწარმოო პროცესი;
- მიმართავთ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს აღიარების გაუქმების მოთხოვნით;
- თუ ვალდებული ხართ, მაგრამ არ გექნებათ დანერგილი სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად.

საწარმოში სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისი სისტემის დანერგვა სავალდებულოა:

2015 წლიდან იმ ბიზნესოპერატორთათვის, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ (თბურ) დამუშავებას ან/და ცხოველის დაკვლას (გარდა პირველადი წარმოებისა);

2021 წლის პირველი იანვრიდან ყველა სხვა დანარჩენი ბიზნესოპერატორთათვის, რომლებიც ახორციელებენ ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას, ასევე, იმ ბიზნესოპერატორთათვის, რომლებიც საცალო ვაჭრობის პუნქტში ახორციელებენ სურსათის წარმოებას/ გადამუშავებას.

5. ლიცენზირება

ცხოველური წარმოშობის სურსათთან დაკავშირებული რა სახის საქმიანობა საჭიროებს ლიცენზირებას?

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის[7] თანახმად, სურსათის მწარმოებლებიდან ლიცენზირებას საჭიროებს მხოლოდ:

- ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების საქმიანობა
- ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების საქმიანობა

ლიცენზიის გამცემ ორგანოს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო.

რა სახის დოკუმენტაციის წარდგენა არის საჭირო ლიცენზიის მისაღებად?

ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ან/და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიის მაძიებელმა ლიცენზიის მისაღებად, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება;
- კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები;
- სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- საწარმოო ობიექტის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინფორმაცია წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაცია მთლიანი შიდა საწარმოო პროცესებისათვის პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- მოქმედი ნორმატივების შესაბამისად დამუშავებული ტექნოლოგიური ინსტრუქცია;

7. კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ

- ინფორმაცია პროდუქციის უვნებლობის შიდა საწარმოო კონტროლის სისტემის შესახებ;
- ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა[8].

სურსათის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია სალიცენზიო პირობებში მითითებული მონაცემების სისწორე შეამოწმოს უშუალოდ ადგილზე საწარმოს დათვალიერებით და დოკუმენტაციის შესწავლით.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ლიცენზიის გაცემის, ან ლიცენზირებაზე უარის თქმის მაქსიმალური ვადა 3 თვეა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების არც ერთი საქმიანობა არ საჭიროებს ნებართვას.

8. დასკვნის მიღება შესაძლებელია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებაში განხორციელებული ინსპექტირების შედეგებიდან გამომდინარე.

6. სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებლებისათვის ძირითადი კანონმდებლობის ნუსხა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ;
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ;
- საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ;
- საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითრების შესახებ;
- საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ;
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული ვადებისა და საფასურის შესახებ;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებით დამტკიცებული „ბიზნესოპერატორის აღიარების წესი“;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №549 დადგენილებით დამტკიცებული „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვარის №14 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი“;
- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვარის №59 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური“;
- საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 სექტემბრის №165 დადგენილებით დამტკიცებული „ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარ-

მოება-დაფასოებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთები, საფასურის გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბერის №487 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საჯარო რეესტრის შესახებ“;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბერის №241 ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქცია“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერს №415 დადგენილებით დამტკიცებული „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №100 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2020 წლებისთვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით დამტკიცებული "საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე";
- 173 ცხოვლეთ ჰიგიენის წესი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის დადგენილება №173 ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე.

7. მომსახურების სახეები, საფასური და ვადები

მომსახურების სახე	**ვადა**	**საფასური (დღგ-ის ჩათვლით)**
არაორგანიზებული წარმოება		
ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრაცია	-	უფასო
ფიზიკური პირისათვის მიკრო ბიზნესის მინიჭება	10 სამუშაო დღე	10 ლარი
ბიზნესოპერატორი		
მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია		
მეწარმე სუბიექტის, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია	1 სამუშაო დღე	100 ლარი
მეწარმე სუბიექტის, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია	განცხადების შემოტანის დღეს	200 ლარი
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრირებულ მონაცემებში სუბიექტის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრისა და იურიდიული მისამართისაგან განსხვავებული მისამართის რეგისტრაციის, ასევე რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების ან შეწყვეტის რეგისტრაცია	1 სამუშაო დღე	20 ლარი
რეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	განცხადების შემოტანის დღეს	50 ლარი
რეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	1 სამუშაო დღე	30 ლარი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	განცხადების შემოტანის დღეს	50 ლარი
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრირებულ მონაცემებში სუბიექტის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრისა და იურიდიული მისამართისაგან განსხვავებული მისამართის რეგისტრაციის, ასევე რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების ან შეწყვეტის რეგისტრაცია	განცხადების შემოტანის დღეს	50 ლარი
რეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	4 სამუშაო დღე	უფასო
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	1 სამუშაო დღე	უფასო
მეწარმე ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება	10 სამუშაო დღე	20 ლარი
ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაცია		
ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაცია	1 თვე	უფასო
ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება	1 თვე	უფასო
ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	1 თვე	უფასო
ამონაწერის მომზადება ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში (ახალი თარიღით)	1 თვე	უფასო
აღიარება		
ბიზნესოპერატორის მოთხოვნის (გარდა სავალდებულო აღიარების მოთხოვნისა) საფუძველზე განხორციელებული ინსპექტირება (მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორისთვის)	-	200 ლარი

ბიზნესოპერატორის მოთხოვნის (გარდა სავალდებულო აღიარების მოთხოვნისა) საფუძველზე განხორციელებული ინსპექტირება ბიზნესოპერატორისთვის (გარდა მცირე ბიზნესის სტატუსისა)	-	400 ლარი
საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისობის დადგენა	-	2500 ლარი
ლიცენზირება		
ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიების გაცემა	3 თვე	200 ლარი
	2 თვე	400 ლარი
	1 თვე	600 ლარი

8. სანქციები (ჯარიმები)

სამართალდარღვევის სახე	ჯარიმის რაოდენობა	შენიშვნა
სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა	ამ ეტაპზე ჯარიმა გათვალისწინებული არ არის (2020 წელი)	
თუ ბიზნესოპერატორი (მცირე ბიზნესის სტატუსით) ეწევა საქმიანობას ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე (ანუ ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე)	100 ლარი	+ საქმიანობის შეჩერება
თუ ბიზნესოპერატორი (არა მცირე ბიზნესის სტატუსით) ეწევა საქმიანობას ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში საქმიანობის რეგისტრაიის გარეშე (ანუ ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე)	500 ლარი	+ საქმიანობის შეჩერევა
თუ ბიზნესოპერატორი საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან/და ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში საქმიანობის ცვლილებასთან დაკავშირებით არ მიმართავთავს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს - პირველ ეტაპზე	გაფრთხილება	
თუ ბიზნესოპერატორი საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან/და ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში საქმიანობის ცვლილებასთან დაკავშირებით არ მიმართავთავს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს - განმეორებითი დაღვევა	500 ლარი	
თუ ბიზნესოპერატორი, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო აღიარებას საქმიანობს აღიარების გარეშე	500 ლარი	+ საქმიანობის შეჩერება
თუ პირი საქმიანობს გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის გარეშე (მეწარმე სუბიექტად რეგისტრაციის გარეშე)	500 ლარი	
თუ პირი აწარმოებს ბავშვთა (მ.შ ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტებს ლიცენზიის გარეშე	2000 ლარი	

9. შესაბამისი სახელმწიფო სამსახურები

წინამდებარე გზამკვლევი შექმნილია და ადაპტირებულია სურსათის მწარმოებლებისათვის მარტივად აღსაქმელად. დამატებით, უფრო დეტალური ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ, მიმართოთ შესაბამის სამსახურებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

სათავო ოფისის მისამართი:
ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #6, 0159
სამუშაო დრო: ორშაბათი - პარასკევი; 09:00 -18:00 სთ.
ტელეფონი: + 995(32) 291 91 68
ცხელი ხაზი ნებართვების შესახებ: + 995(32) 291 91 68 (3151)
ელ. ფოსტა: info@nfa.gov.ge
ვებ. გვერდი: nfa.gov.ge

სსიპ საჯარო რეესტრის ერვნული სააგენტო

სათავო ოფისის მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2
სამუშაო დრო: ორშაბათი - პარასკევი; 09:00 -18:00 სთ.
ტელ.: (+995 32) 2 25 15 28
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09;
ელ. ფოსტა: info@napr.gov.ge
ვებ გვერდი: napr.gov.ge

სსიპ შემოსავლების სამსახური

სათავო ოფისის მისამართი: ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. #16
სამუშაო დრო: ორშაბათი - პარასკევი; 09:00 -18:00 სთ.
ტელ.: (+995 32) 2 299 299
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ გვერდი: www.rs.ge

10. დანართები

- ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრაციის განცხადების ფორმა - დანართი #1;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - დანართი #2;
- მიკრო ბიზნესის სერტიფიკატი - დანართი #3;
- მცირე ბიზნესის სერტიფიკატი - დანართი #4;
- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან - დანართი #5;
- სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის საკლასიფიკაციო ობიექტის კოდების შესახებ დეტალური ინფორმაცია - დანართი #6;
- ბიზნესოპერატორის აღიარების სერტიფიკატი - დანართი #7;
- ბიზნესოპერატორის აღიარების შესახებ განაცხადი - დანართი #8.

დანართი 1

სუს | სურსათის ეროვნული სააგენტო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ .....

.....
(ფიზიკური პირის სახელი, გვარი პირადი ნომერი)

.....
(ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამარეგისტრიროთ ოჯახური წარმოების სუბიექტად.

საქმიანობის სახე:
(მონიშნეთ X-ით შესაბამისი გრაფა)

☐ ვფლობ არაუმეტეს 300 ფრთა ფრინველს
☐ ვაწარმოებ ფრინველის ხორცს
☐ ვაწარმოებ კვერცხს

საქმიანობის განხორციელების ადგილი .....

.....
(რეგიონი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სოფელი, მისამართი)

☐ ვფლობ არაუმეტეს 10 ფუტკრის სკას და ვაწარმოებ თაფლს

საქმიანობის განხორციელების ადგილი -.....

.....
(რეგიონი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სოფელი, მისამართი)

☐ ვფლობ არაუმეტეს 30 სულ ბოცვრისნაირს და ვაწარმოებ ბოცვრისნაირისგან ხორცს

საქმიანობის განხორციელების ადგილი .....

.....
(რეგიონი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სოფელი, მისამართი)

☐ ვფლობ არაუმეტეს 5 სულ იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებულ მსხვილფეხა საქონელს

☐ ვაწარმოებ რძეს
☐ ვაწარმოებ რძის ნაწარმს

საქმიანობის განხორციელების ადგილი .....

.....

(რეგიონი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სოფელი, მისამართი)

☐ ვფლობ არაუმეტეს 15 სულ იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებულ წვრილფეხა საქონელს

☐ ვაწარმოებ რძეს
☐ ვაწარმოებ რძის ნაწარმს

საქმიანობის განხორციელების ადგილი .....

.....

(რეგიონი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სოფელი, მისამართი)

☐ ვფლობ არაუმეტეს 2 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი .....

☐ ვაწარმოებ სურსათს
☐ ვაწარმოებ ცხოველის საკვებს

საქმიანობის განხორციელების ადგილი .....

.....

(რეგიონი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სოფელი, მისამართი)

წინამდებარე განაცხადით განმცხადებელი ადასტურებს, რომ:

- განცხადებაში მითითებული ინფორმაცია სწორი და უტყუარია;
- სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს წინასწარი გაფრთხილების გარეშე გადაამოწმოს განაცხადში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მესამე პირებთან ან/და სხვა არსებული წყაროების გამოყენებით.

განცხადებას თან ერთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

განმცხადებელი:

თარიღი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი:

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:

სამართლებრივი ფორმა:

საიდენტიფიკაციო ნომერი:

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:

მარეგისტრირებელი ორგანო:

იურიდიული მისამართი:

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა:

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომმწოდებელი პირი.

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

დანართი 3

შემოსავლების
სამსახური

მიკრო ბიზნესის სტატუსის

სერტიფიკატი

№

სერტიფიკატით დასტურდება, რომ
ფიზიკურ პირს:
პირადი ნომერი:

(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს

მიკრო ბიზნესის სტატუსი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

მიკრო ბიზნესის სტატუსი მინიჭებულია

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის
უფროსი/მოადგილე

ID

დანართი 4

შემოსავლების
სამსახური

მცირე ბიზნესის სტატუსის

სერტიფიკატი

№ - - - - -

სერტიფიკატით დასტურდება, რომ
ფიზიკურ პირს:
პირადი ნომერი:

(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს

მცირე ბიზნესის სტატუსი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებულია

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის
უფროსი/მოადგილე

ID

დანართი 5

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი:

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:

სამართლებრივი ფორმა:

საიდენტიფიკაციო ნომერი:

იურიდიული მისამართი:

დამატებითი ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

მისამართი/ეკონომიკური საქმიანობის სახე

გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების ცნობარი

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადაა 1 წელი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ ვადის გასვლა იწვევს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულობას, თუ დაინტერესებული პირი არ წარადგენს მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

• დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
• ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში და იუსტიციის სახლებში;
• ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
• კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
• საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
• თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 6

სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის საკლასიფიკაციო ობიექტის კოდები		
სექცია	**საქმიანობის კოდი**	**საქმიანობის დასახელება**
A		სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
	01	მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა
	01.4	მეცხოველეობა ეს ჯგუფი შეიცავს ყველა სახეობის ცხოველების გამოზრდას (სასოფლო-სამეურნეო) და მოშენებას, წყლის ცხოველების გარდა
	01.41	მერძეული ჯიშების პირუტყვის მოშენება
	01.41.0	მერძეული ჯიშების პირუტყვის გამოზრდას და მოშენებას
	01.41.0	ფურის და ფურკამეჩის ნედლი რძის წარმოება
	01.42	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხვა ჯიშების და კამეჩების მოშენება
	01.42.0	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და კამეჩების გამოზრდას და მოშენებას ხორცის მისაღებად
	01.42.0	ბუღის სპერმის მიღებას
	01.6	სოფლის მეურნეობის დამხმარე და მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობები
	01.61	დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში
	01.61.0	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სახეებს გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე: • ფართობების (ნიადაგის) მომზადებას • სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგვას და თესვას • კულტურების დამუშავებას • კულტურების შეწამვლას, მათ შორის ჰაერიდან • მოსავლის აღებას • სოფლის მეურნეობის მავნებლებთან (კურდღლებისჩათვლით) ბრძოლას – ზომების მიღებას სასოფლო-სამეურნეო მიწების და გარემოს დაცვისათვის. – სარწყავი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების მუშაობას – მომსახურების გაწევას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ოპერატორებთან და ტექნიკურ პერსონალთან ერთად
	01.62	დამხმარე საქმიანობის სახეები ცხოველების მოშენებისათვის
	01.62.0	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სახეებს გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე: • ცხოველების მოშენების, ზრდისა და პროდუქტიულობის სტიმული-რებასთან დაკავშირებულ საქმიანობას • ნახირის მდგომარეობის გამოკვლევას, საქონლის გადარეკვას, საქონლის ძოვებას, შინაური ფრინველის დაკოდვას, საქათმეების წმენდას და ა.შ. • ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ საქმიანობას • საჯინიბო მომსახურებას • სასოფლო-სამეურნეო ცხოველების შენახვასა და მოვლას
	01.63	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები მოსავლის აღების შემდეგ
	01.63.0	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მომზადებას პირველადი ბაზრისთვის: გასუფთავებას, გაწმენდას, შემოჭრას, დახარისხებას, დამუშავებას

C		დამამუშავებელი მრეწველობა
	10	კვების პროდუქტების წარმოება
	10.1	ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება
	10.11	ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება
	10.11.0	– სასაკლაოზე ცხოველების კვლას, საქონლის, ღორის, ბატკნის, ბოცვრის, ცხვრის, აქლემის და მისთ. ხორცის დამუშავებას და დაფასოებას – ახალი, გაცივებული ან გაყინული ხორცის წარმოებას, დაუფეშხოებული ნაკლავის სახით – ახალი, გაცივებული ან გაყინული ხორცის წარმოებას, დაყოფილს ნაწილებად; – ტყავის და ბეწვეულის დამუშავებას ცხოველთა სასაკლაოებზე – ცხოველური წარმოშობის ლარდის (ღორის ქონის) და სხვა საკვებად ვარგისი ცხიმების გამოდნობას – ცხოველების შიგნეულის და თავ-ფეხის გადამუშავებას – დაწეწილი მატყლის წარმოებას
	10.13	ხორცის პროდუქტების წარმოება
	10.13.0	– გამოყვანილი, დამარილებული ან შებოლილი ხორცის წარმოებას – ხორცპროდუქტების წარმოებას: • ძეხვის, სალიამის, სისხლიანი ძეხვის, სოსისის, მშრალი ძეხვის, სერველატის, ბოლონიური შებოლილი ძეხვის, პაშტეტების, რულე-ტების, მოხარშული შაშხის
	10.2	თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება
	10.20	თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება
	10.20.0	თევზის ფქვილის წარმოება ადამიანის მიერ მოხმარებისათვის ან ცხოველების საკვებად
	10.5	რძის პროდუქტების წარმოება
	10.51	რძის გადამუშავება და ყველის წარმოება
	10.51.0	– პასტერიზებული, სტერილიზებული, ჰომოგენიზებული და/ ან მაღალტემპერატურული დამუშავების ახალი თხევადი რძის წარმოებას – რძეზე დამზადებული სასმელების წარმოებას – ნაღების წარმოებას პასტერიზებული, სტერილიზებული, ჰომოგენიზებული ახალი თხევადი რძისაგან – რძის ფხვნილის და შესქელებული რძის წარმოებას, დამტკბარი ან დაუმტკბარი – რძის ან ნაღების წარმოებას მყარი ფორმით – კარაქის წარმოებას – იოგურტის წარმოებას – ყველის და ხაჭოს წარმოებას – შრატის წარმოებას – კაზეინის და ლაქტოზის წარმოებას
	10.52	ნაყინის წარმოება
	10.52.0	– ნაყინის და მისთ., მაგალითად, შარბათის, წარმოება
	10.85	კვების მზა პროდუქტების და კერძების წარმოება
	10.85.0	ხორცის ან შინაური ფრინველის კერძების წარმოებას
	10.89	სხვა კვების პროდუქტების წარმოება
	10.89.0	ხორცის წვნიანის დამზადება
	10.9	მზა საკვების წარმოება ცხოველებისათვის
	10.91	მზა საკვების წარმოება ფერმის ცხოველებისათვის

	10.91.0	– მზა საკვების წარმოებას ფერმის ცხოველებისათვის, კონცენტრირებული ცხოველური საკვების და საკვები დანამატების ჩათვლით – შეურეველი (ერთკომპონენტიანი) საკვების წარმოებას ფერმის ცხოველებისათვის ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს: – სასაკლაოებიდან ნარჩენების დამუშავებას ცხოველებისათვის საკვების მისაღებად
	10.92	მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისათვის
	10.92.0	– მზა საკვების წარმოებას შინაური ცხოველებისათვის: ძაღლების, კატების, ფრინველების, თევზების და ა.შ. ჩათვლით – სასაკლაოებიდან ნარჩენების დამუშავებას ცხოველებისათვის საკვების მისაღებად
	20.2	პესტიციდების და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება
	20.20	პესტიციდების და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება
	20.20.0	– ინსექტიციდების, როდენტიციდების, ფუნგიციდების, ჰერბიციდების, აკარიციდების, მოლუსკიციდების, ბიოციდების წარმოებას – მცენარეების გაღივების საწინააღმდეგო საშუალებების, მცენარეების ზრდის რეგულატორების წარმოებას – სადეზინფექციო საშუალებების წარმოებას (სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიზნებისათვის) – სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოებას, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის
G		საბითუმო და საცალო ვაჭრობა
	46.11	სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, ცოცხალი ცხოველებით, ტექსტილის ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით მოვაჭრე აგენტების საქმიანობა
	46.11.0	სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, ცოცხალი ცხოველებით, ტექსტილის ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით მოვაჭრე აგენტების საქმიანობა
	46.2	საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით და ცოცხალი ცხოველებით
	46.21	საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესლბით და ცხოველების საკვებით
	46.21.0	საბითუმო ვაჭრობას მარცვლეულით და თესლით – საბითუმო ვაჭრობას ზეთოვანი კულტურების თესლით და ნაყოფებით – საბითუმო ვაჭრობას დაუმუშავებელი თამბაქოთი – საბითუმო ვაჭრობას ცხოველების საკვებით და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველით
	46.23	საბითუმო ვაჭრობა ცოცხალი ცხოველებით
	46.23.0	საბითუმო ვაჭრობა ცოცხალი ცხოველებით
	46.24	საბითუმო ვაჭრობა ტყავეულით და ბეწვეულით
	46.24.0	საბითუმო ვაჭრობა ტყავეულით და ბეწვეულით
	46.3	საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით
	46.32	საბითუმო ვაჭრობა ხორცით და ხორცის პროდუქტებით
	46.32.0	საბითუმო ვაჭრობა ხორცით და ხორცის პროდუქტებით
	46.33	საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით
	46.33.0	საბითუმო ვაჭრობას რძის პროდუქტებით

	46.75	საბითუმო ვაჭრობა ქიმიური პროდუქტებით
	46.75.1	საბითუმო ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით
	47.22	საცალო ვაჭრობა ხორცით და ხორცის პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
	47.22.0	საცალო ვაჭრობას ხორცით და ხორცის პროდუქტებით
M		პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
	75	ვეტერინარული საქმიანობები
	75.0	ვეტერინარული საქმიანობები
	75.00	ვეტერინარული საქმიანობები
	75.00.0	– ცხოველების ჯანმრთელობაზე ზრუნვას და კონტროლის საქმიანობებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე – ცხოველების ჯანმრთელობაზე ზრუნვას და კონტროლის საქმიანობებს შინაურ ცხოველებზე – ვეტერინარული ასისტენტების ან სხვა დამხმარე ვეტერინარული პერსონალის საქმიანობებს – ცხოველებთან დაკავშირებულ კლინიკო-პათოლოგიურ და სხვა დიაგნოსტიკურ საქმიანობებს – ცხოველების ამბულატორიულ მკურნალობას
N		ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
	82	ოფისის ადმინისტრაციული, ოფისის დამხმარე და ბიზნესის სხვა დამხმარე საქმიანობები
	82.9	ბიზნესის დამხმარე მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
	82.92	შეფუთვის საქმიანობები
	82.92.0	ხორცის შეფუთვა

www.nfa.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

LEPL - NATIONAL FOOD AGENCY

ბიზნესოპერატორის აღიარების სერტიფიკატი

Certificate of Approval of Business operator

ბიზნესოპერატორის დასახელება/Name of Bussiness operator :

საიდენტიფიკაციო კოდი/Identification Code :

იურიდიული მისამართი/Legal Address :

ფაქტიური მისამართი/Actual Address :

ეკონომიკური საქმიანობის სახე/სახეები/Type of Activity

ბიზნესოპერატორის საქმიანობა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს
და აღიარებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ.
The activities of business operator are in compliance with Georgian legislation
and are approved by National Food Agency.

ბიზნესოპერატორის აღიარების ნომერი /
Approval number of business operator

გაცემის თარიღი:
Date of issue:

უფლებამოსილი პირი: .....
Authorised person:

ბ.ა.
Stamp

ბიზნესოპერატორის აღიარების შესახებ განაცხადი

ივსება ბიზნესოპერატორის მიერ

ინფორმაცია ბიზნესოპერატორის შესახებ

ბიზნესოპერატორის საფირმო სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა	
საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი	
ეკონომიკური საქმიანობის ადგილი (მისამართი)	
ტელეფონი	
ფაქსი	
ელ. ფოსტა	

ბიზნესოპერატორის ეკონომიკური საქმიანობის სახე

ეკონომიკური საქმიანობის სახე	ეკონომიკური საქმიანობის ჯგუფი და ქვეკლასი

საწარმოს საპროექტო წარმადობა

წარმოებული პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა (ლიტრი/ტონა/ცალი) ცვლაში

ხელმოწერა და თარიღი

განმცხადებლის სახელი და გვარი	
ხელმოწერა	
განაცხადის შემოტანის თარიღი	

თუ თქვენ გჭირდებათ დახმარება წინამდებარე განაცხადის შესავსებად, გთხოვთ დაუკავშირდეთ სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ქვემოთ მითითებულ ტელეფონის ნომერზე

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო,

მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ

გელოვანის გამზ. 6 ტელეფონი:

2919168 ელ. ფოსტა : info@nfa.gov.ge